პანდემიის გავლენა

დანაშაულის სტატისტიკაზე

2021

supported by

Visegrad Fund

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის -კარგი მმართველობისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობის სტანდარტების გაუმჯობესება - ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

ძირითადი მიგნებები:

- 2020 წელს სულ დარეგისტრირდა 56,596 დანაშაული, რაც 11.7%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

- 2020 წელს, დანაშაულის საერთო მაჩვენებლის შემცირების მიუხედავად, სხვადასხვა დანაშაულების მიმართებით კვლავ შენარჩუნდა მზარდი ტენდენცია. მაგალითად, განზრახ მკვლელობების მაჩვენებელი გაიზარდა 39,5%-ით, თვითმკვლელობამდე მიყვანა +6,3%, მუქარა +36,3%, კომპიუტერული დანაშაული +18,7%, ოჯახში ძალადობა +6,9%.

- 2020 წელს რეგისტრირებული დანაშაულის საერთო მაჩვენებლის შემცირება უმეტესწილად განპირობებულია საკუთრების წინააღდეგ ჩადენილი დანაშაულების (-3149 შემთხვევა) და ნარკოტიკული დანაშაულების რიცხვის (-2963 შემთხვევა) მკვეთრი კლებით;

- დანაშაულის რიცხვის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში ქვეყანაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ და კომენდატის საათმა. მაგალითად, ქურდობის მაჩვენებლები, რომელიც საერთო დანაშაულების 32%-ს შეადგენს, 2020 წლის აპრილის თვეში 40%-ით შემცირდა წინა წლის იგივე თვესთან შედარებით.

- 2020 წლის ივნისის თვიდან (შეზღუდვების მოხსნასთან ერთად), დანაშაულის რიცხვი მნიშვნელოვნად იმატებს და აგვისტოს-სექტემბერში აჭარბებს წინა წლის ანალოგიურ პერიოდებს.

- დანაშაულის რიცხვი კვლავ კლებას იწყებს ოქტომბრის თვიდან, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს წინასაარჩევნო პერიოდში გარკვეული დანაშაულების მიმართ კონტროლის შესუსტებასთან. მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაული 2020 წლის ოქტომბრის თვეში წინა წლის იგივე თვესთან შედარებით შემცირებულია 80%-ით.

- ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი 2020 წელს 7%-ით გაიზარდა. თუმცა, ოჯახში ძალადობის ყოველთვიური რეგისტრირებული შემთხვევების მიხედვით, შეზღუდვებისა და კომენდანტის თვეების დროს რეგისტრირებული შემთხვევები არ გაზრდილა.

- 2020 წელს, შეზღუდვების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპიუტერული დანაშაული. 2020 წლის აპრილში 303 კომპიუტერული დანაშაულის შემთხვევა დაფიქსირდა, რაც ბოლო 4 წლის მონაცემებით რეკორდული მაჩვენებელია.

- 2020 წელს ტრანსპორტით გადაადგილებასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვების მიუხედავად 7,7%-ით გაიზარდა სატრანსპორტო დანაშაულის მაჩვენებელი.

შესავალი

2020 წელს, მსოფლიოში დაწყებულმა კორონავირუსის პანდემიამ განაპირობა კრიმინოგენური მდგომარეობის გაურესების საფრთხის ზრდა. მაგალითად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომაროების გაურესება, სამუშაო ადგილების მასიური შემცირება და ა.შ. შეიცავს დანაშაულის, განსაკუთრებით ეკონომიკური დანაშაულის მატების მნიშვნელოვან რისკებს. ამასთან, 2020 წელს, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პანდემიასთან ბრძოლის სპეციფიკამ, უამრავი ადამიანის პოტენციურ მოძალადესთან ერთ სივრცეში იზოლირება განაპირობა. თუმცა, პანდემიასთან ბრძოლის სპეციფიკა, ასევე წარმოადგენდა ზოგიერთ დანაშაულთან ბრძოლისთვის დამატებით მექანიზმს და დანაშაულის ჩადენისათვის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს. მაგალითად, საგანგებო მდგომარეობის შემოღება, კომენდატის საათი, ხალხმრავალი ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა და ა.შ. შესაძლებელია გამხდარიყო დანაშაულის შემაკავებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ქვეყანაში რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებლებზე პანდემიის გავლენის შეფასების მიზნით, IDFI-მ გაანალიზა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის მაჩვენებლები. 2018 წლიდან[1], საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველთვიურად პროაქტიულად აქვეყნებს დანაშაულის სტატისტიკას დანაშაულის სახეების მიხედვით, რაც საშუალებას გვაძლევს პანდემიის და მასთან ბრძოლის ფარგლებში გატარებული შემზღუდავი ღონისძიებების გავლენის შეფასებას კონკრეტული დანაშაულების მიმართებით.

[1] 2018 წლიდან სამინისტროს განმარტებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დანაშაულის აღრიცხვიანობის სისტემა, რაც დასახელდა აღნიშნული პერიოდიდან რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის მკვეთრი მატების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.

დანაშაულის სტატისტიკის ანალიზი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, **2020 წელს სულ დარეგისტრირდა 56,596 დანაშაული, რაც 11.7%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე,** ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი ანალოგიურ ნიშნულზეა შენარჩუნებული (35,6%).

გრაფიკი 1: რეგისტრირებული დანაშაული



შენიშვნა: 2018 წლიდან შეიცვალა დანაშაულის აღრიცხვიანობის სისტემა

2020 წლის განმავლობაში რეგისტრირებული დანაშაულის სრულფასოვანი ანალიზისათვის, მნიშვნელოვანია დანაშაულის კატეგორიების მიხედვით არსებული ტენდენციების ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს, წინა წელთან შედარებით რეგისტრირებული დანაშაულის საერთო მაჩვენებელი შემცირდა, სხვადასხვა დანაშაულების ჯგუფების მიმართებით კვლავ შენარჩუნდა მზარდი ტენდენცია. მაგალითად, 4.5%-ით გაიზარდა სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი. მათ შორის, **განზრახ მკვლელობების მაჩვენებელი გაიზარდა 39,5%-ით,** ხოლო თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი 6,3%-ით. ასევე, 23,5%-ით გაიზარდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მაჩვენებელი, რაც უმეტესწილად მუქარის შემთხვევების მკვეთრმა ზრდამ (+36,3%, +799 შემთხვევა) განაპირობა. მიუხედავად, 2020 წელს ტრანსპორტით გადაადგილებასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვებისა 7,7%-ით გაიზარდა სატრანსპორტო დანაშაულის მაჩვენებელი. ასევე, აღსანიშნავია კომპიუტერული დანაშაული, რომელთა რიცხვი 2020 წელს 18,7%-ით გაიზარდა. კომპიუტერული დანაშაულის მზარდი ტენდენცია, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი გახსნის დაბალი მაჩვენებლის (9,6%) ფონზე. 2020 წელს ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ჯგუფში შემავალ დანაშაულთა საერთო რიცხვი 6,4%-ით შემცირდა, თუმცა **6,9%-ით გაიზარდა ოჯახში ძალადობის მაჩვენებლები.**

2020 წელს რეგისტრირებული დანაშაულის საერთო მაჩვენებლის, შემცირება უმეტესწილად განპირობებულია საკუთრების წინააღდეგ ჩადენილი დანაშაულების (-3149 შემთხვევა) და ნარკოტიკული დანაშაულების რიცხვის (-2963 შემთხვევა) მკვეთრი კლებით.

გრაფიკი 2: რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებლები დანაშაულის ჯგუფების მიხედვით



გრაფიკი 3: სხვადასხვა რეგისტრირებული დანაშაულის %-ული მატება/კლების მაჩვენებლები

2020 წელს, თვეების მიხედვით რეგისტრირებული დანაშაულის მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ დანაშაულის რიცხვის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში ქვეყანაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ და კომენდატის საათმა. საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში გამოცხადდა 2020 წლის 21 მარტს, რომელიც 22 მაისამდე გაგრძელდა (17 აპრილიდან, მნიშვნელოვნად გამკაცრდა შეზღუდვები როდესაც ყველა სახის მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებს, გარდა მოტოციკლისა, შეეზღუდათ გადაადგილება, ხოლო 22 მაისს კომენდატის საათიც გაუქმდა). შედეგად, დანაშაულის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები 2020 წლის აპრილის და მაისის თვეში დაფიქსირდა. მაგალითად, აპრილის თვეში რეგისტრირებულია 3493 დანაშაული, რაც 37%-ით ნაკლებია წინა წლის იგივე თვესთან შედარებით. 2020 წლის ივნისის თვიდან (შეზღუდვების მოხსნასთან ერთად), დანაშაულის რიცხვი მნიშვნელოვნად იმატებს და აგვისტოს-სექტემბერში აჭარბებს წინა წლის ანალოგიურ პერიოდებს. **დანაშაულის რიცხვი კვლავ კლებას იწყებს ოქტომბრის თვიდან, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს წინასაარჩევნო პერიოდში გარკვეული დანაშაულების მიმართ კონტროლის შესუსტებასთან. მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაული 2020 წლის ოქტომბრის თვეში წინა წლის იგივე თვესთან შედარებით შემცირებულია 80%-ით.** ხოლო ნოემბერ-დეკემბერში წინა წელთან შედარებით დანაშაულის რიცხვის შემცირება, სავარაუდოდ კვლავ უკავშირდება ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაურესების გამო, 2020 წლის 9 ნოემბრის შემდეგ კომენდატის საათის დაწესებას.

გრაფიკი 4: დანაშაულის სტატისტიკა თვეების მიხედვით



პანდემიის დროს დაწესებული მკაცრი შეზღუდვები, განსაკუთრებით ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ისეთი დანაშაულის მიმართ, რომლებსაც რეგისტრირებულ დანაშაულს შორის ყველაზე დიდი წილი უკავია და შესაბამისად საერთო მაჩვენებელზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს. მაგალითად, **ქურდობის მაჩვენებლები, რომელიც საერთო დანაშაულების 32%-ს შეადგენს, მნიშვნელოვნად იკლებს კომენდატის საათის მოქმედების პერიოდში. 2020 წლის აპრილის თვეში აღირიცხა ქურდობის 1029 შემთხვევა, რაც დაახლოებით 40%-ით ნაკლებია წინა წლის იგივე თვესთან შედარებით.** კომენდატის საათის გაუქმების შემდეგ, ქურდობის მაჩვენებელი ყოველთვიურად იმატებდა, ხოლო ოქტომბრის თვეში დაახლოებით 14%-ით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცალკეული მძიმე ეკონომიკური დანაშაულების შემთხვევაში მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი ვეღარ აღმოჩნდა ნოემბრის თვიდან შემოღებული კომენდატის საათი. 2020 წლის სექტემბრის თვის შემდეგ წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ყაჩაღობის შემთხვევები. მაგალითად, ოქტომბერში დაფიქსირდა 18 შემთხვევა, მაშინ როდესაც წინა წელს იგივე თვეს იყო 5 შემთხვევა, ნოემბერში 22 შემთხვევა - წინა წლის ნოემბერში 10 შემთხვევა.

გრაფიკი 5: 2020 წელს რეგისტრირებული ქურდობის მაჩვენებლების შედარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან



გრაფიკი 6: 2020 წელს რეგისტრირებული ყაჩაღობის მაჩვენებლების შედარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან



წლების განმავლობაში დანაშაულთა რიცხვში, ასევე დიდი წილი ეკავა ნარკოტიკულ დანაშაულს, თუმცა 2020 წელს მისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. ნარკოტიკული დანაშაულის შემცირების მიზეზად, შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც დაწესებული შეზღუდვები, ასევე კონტროლის მნიშვნელოვანი შემსუბუქება. მაგალითად, 2020 წლის აპრილის თვეში აღირიცხა სულ 62 მსგავსი დანაშაული, როცა წინა წლის იგივე თვეში რეგისტრირებული იყო 500 შემთხვევა. 2020 წლის ოქტომბრის თვეში - 194, მაშინ როდესაც წინა წლის იგივე თვეს- 973 შემთხვევა.

გრაფიკი 7: 2020 წელს რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის მაჩვენებლების შედარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან



პანდემიამ და კარანტინის ფარგლებში მოსახლეობის იზოლირებამ, გლობალურ გამოწვევად აქცია ოჯახში ძალადობის შემთხვევების მატება. საქართველოს შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი 2020 წელს 7%-ით გაიზარდა. თუმცა, ოჯახში ძალადობის ყოველთვიური რეგისტრირებული შემთხვევებით თუ ვიმსჯელებთ, შეზღუდვებისა და კომენდანტის თვეების დროს რეგისტრირებული შემთხვევები არ გაზრდილა. მატების ტენდენცია შესამჩნევია ივლისიდან და ყველაზე დიდი ზრდა სექტემბერში იყო, როცა წინა წლის იგივე თვესთან შედარებით ოჯახის ძალადობის მაჩვენებელი 65%-ით გაიზარდა (+220 შემთხვევა).

გრაფიკი 8: ოჯახში ძალადობის შემთხვევები თვეების მიხედვით



2020 წელს, შეზღუდვების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპიუტერული დანაშაული. ზრდა განსაკუთრებით დიდია 2020 წლის პირველ ნახევარში, აპრილის თვეში 303 კომპიუტერული დანაშაულის შემთხვევა დაფიქსირდა, რაც ბოლო 4 წლის მონაცემებით რეკორდული მაჩვენებელია.

გრაფიკი 9: კომპიუტერული დანაშაულის შემთხვევები თვეების მიხედვით



დასკვნა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის ანალიზით ირკვევა რომ, 2020 წელს დანაშაულის საერთო მაჩვენებლის შემცირება, უმეტესწილად პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში დაწესებული შემზღუდავი ღონისძიებებით არის განპირობებული და ნაკლებად კავშირშია ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. ამასთან, ცალკეული დანაშაულების მკვეთრი შემცირება, (მაგალითად ნარკოტიკული დანაშაული) სავარაუდოდ საარჩევნო წელს საპოლიციო კონტროლის შემსუბუქებას უკავშირდება. ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესებაზე მეტყველებს სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მზარდი ტენდენცია. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს კომპიუტერულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ყოველწლიურად იმატებს, ხოლო მათი გახსნის მაჩვენებელი 10%-ს ვერ აღწევს.

2020 წელს რეგისტრირებული დანაშაულის ყოველთვიური მონაცემების ანალიზი, ასევე პანდემიის შედეგად გაუარესებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქმნის ნეგატიურ მოლოდინებს, დროებითი შეზღუდვების გაუქმების შემდეგ, ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის გაურესებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კრიმინოგენური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია პოსტპანდემიურ პერიოდში შესაბამისი უწყებების განსაკუთრებული ძალისხმევა.